იაპონია გაოცებულია

ნაგოია, 30 ნოემბერი. 14 წლის თბილისელმა მოსწავლემ ნინა დრონოვამ, როგორც იაპონიის პრესა აღნიშნავს, სასწაული მოახდინა ადგილობრივ სატანვარჯიშო ფიცარნაგზე. მან თვით მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, გროზნოელი ლ. ტურიშჩევაც კი ჩამოიტოვა აქ გამართულ სსრ კავშირის, უნგრეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის ნაკრები გუნდების ორდღიან ასპარეზობაში ნებისმიერი პროგრამით. მრავალჭიდში დრონოვამ 38,15 ქულა დააგროვა და I ადგილი დაიკავა.

ტურიშჩევა თბილისელ ტანმოვარჯიშე გოგონას 0,05 ქულით ჩამორჩა. III ადგილზეც საბჭოთა ტანმოვარჯიშე გავიდა. ესაა ახალგაზრდა გროდნოელი ო. კორბუტი — 37,7 ქულა.

განსაკუთრებით ბრწყინვალედ შეასრულა დრონოვამ თავისუფალი ვარჯიში. აღტაცებულმა მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ეს საოცრად ნიჭიერი ტანმოვარჯიშე. არც მსაჯები „დარჩენილან ვალში“ — ნინას უზადო გამოსვლა 9,8 ქულით შეაფასეს.

ადგილობრივ სპორტულ მიმომხილველებზე დრონოვას უაღრესად დახვეწილმა ტექნიკამ უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა. გაზეთი „ასახი“ წერს: „როცა შევიტყვეთ, საბჭოთა ნაკრებში 14 წლის გოგონა გამოდისო, გადავწყვიტეთ, რომ მონრეალის ოლიმპიური თამაშებისთვის მიმდინარეობს მზადება. მაგრამ შევცდით: დრონოვას მიუნხენშიც ძალუძს ბრწყინვალედ ასპარეზობა. მისი ტექნიკა პირდაპირ განსაცვიფრებელია“.

ვაჟებში პირველობა მასპინძლებს დარჩათ. გაიმარჯვა ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ა. ნაკაიამამ — 57,65 ქულა.

• • •

სურათზე: ნ. დრონოვა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 240
(4490)

1971 წ.
2 დეკემბერი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

პრიზიორებს — ბრინჯაოს მედლები

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ 30 ნოემბერს მოაწყვეს საღამო, სადაც თბილისის საზოგადოებრიობა „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელებს შეხვდა. ამ დღეს მოხდა საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორის დაჯილდოება. გუნდის ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელებს გადაეცათ შესაბამისი ჯილდოები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. შადურმა. შემდეგ თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა მოკლედ მიმოიხილა განვლილი ჩემპიონატის შედეგები და ილაპარაკა თბილისის „დინამოს“ წარმატებებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ გ. კაფანოვმა თბილისის დინამოელებს გადასცა დიპლომები და ბრინჯაოს მედლები. ჯილდოები მიიღეს რ. ურუშაძემ, რ. ძოძუაშვილმა, ვ. ჭელიძემ, მ. ხურცილავამ, ზ. ებრალიძემ, ს. კუტივაძემ, გ. პეტრიაშვილმა, გ. გავაშელმა, გ. და ლ. ნოდიებმა, დ. ყიფიანმა, თ. სტეფანიამ, შ. ხინჩაგაშვილმა და ფ. რეხვიაშვილმა. მედლით დაჯილდოებულია აგრეთვე მ. მაჩაიძე.

დიპლომებითა და ვიმპელებით დააჯილდოეს თბილისის „დინამოს“ გუნდის უფროსი ნ. ჩხატარაშვილი, უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი, მწვრთნელი გ. ჩოხელი, ექიმი თ. ქუთათელაძე, მასაჟისტი ი. ჩიტაძე და ადმინისტრატორი თ. მაქავარიანი.

გუნდის ხელმძღვანელობა და წევრები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

სპორტსმენებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ნ. ახალკაცმა, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორმა მ. ბაბუნაშვილმა, ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს წარმომადგენელმა ნ. გიორგაძემ, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შარაშიძემ, „ლოკომოტივის“ წარმომადგენელმა თ. ქობულაძემ.

კოლექტივს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები და მისალმებანი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

■ როცა უნარიანი ხელმძღვანელი სჭირდება ■ მაინც იმძლავრა

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

კიევი. ადგილობრივი „სტროიტელისა“ და ცსკა-ს ორთაბრძოლას ერთობ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. არმიელებს ალბათ კარგად ახსოვთ შარშანდელი მარცხი კიევში. ახსოვთ ისიც, რომ „სტროიტელი“ მუდამ გამოირჩეოდა პრინციპულობითა და ხასიათის სიმტკიცით, ისიც შინ, საკუთარი გულშემატკივრების გარემოცვაში. მაგრამ, როცა ძალა აღმართს ხნავს, ისეთი გამოცდილი კოლექტივიც კი, როგორიცაა „სტროიტელი“, იძულებულია ბედს შეურიგდეს.

ამ დღეს ცსკა-ს ხუთეულში შეუდარებელი იყო ს. ბელოვი. მან, ჯერ ერთი, ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა წარმატებაში (26 ქულა), მაგრამ, რაც მთავარია, უნარიანად უხელმძღვანელა პარტნიორების მოქმედებას და ამით გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი. ცსკა-მ გაიმარჯვა ანგარიშით 72:59 (33:28) და 3 ქულით სათავეში მოექცა სატურნირო ცხრილს.

უკრაინელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ს. კოვალენკო — 23 ქულა.

კაუნასი. ლენინგრადის „სპარტაკს“ ძნელი გასვლითი მატჩი ჰქონდა „ჟალგირისთან“. შინ იგი ალბათ უფრო ადვილად გასტეხდა მეტოქის შეუპოვრობას, მაგრამ ადგილობრივ სპორტის სასახლეში ქულის აღება დიდი ვაჟკაცობაა. ეს ნევისპირელებმა იგრძნეს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში, რომელიც შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ფრედ დამთავრდა — 36:36. „სპარტაკმა“ მაინც იმძლავრა, თუმცა რაოდენ ძნელი იყო ეს გამარჯვება, კარგად ჩანს შეხვედრის საბოლოო შედეგით — 64:63.

რეკორდები

ჩერეპოვეცი. საშუალო წონის ახალგაზრდა ორჯონიკიძელმა ძალოსანმა ფ. ნანიევმა საბჭოთა ათლეტებს დაუბრუნა მსოფლიო რეკორდი აკვრაში: სსრ კავშირის იუნიორთა ჩემპიონატში მან 194 კგ დაძლია, რაც ნახევარი კილოგრამით აღემატება ი. აველანის (ფინეთი) უწინდელ მიღწევას.

ეს 21 წლის ნანიევის პირველი შესწორებაა „უფროსების“ მსოფლიო რეკორდების ცხრილში. ახალგაზრდა ძალოსანს ვ. აკოევი ავარჯიშებს.

ამავე წონითს კატეგორიაში კიდევ ორი მსოფლიო რეკორდი დამყარდა, ოღონდ იუნიორთა შორის. მოსკოველმა სტუდენტმა, 20 წლის ს. გრამოტკინმა ჯერ იყო და 6,5 კილოგრამით გადააჭარბა თავისივე მიღწევას — 160 კგ აჭიმა, ნერე კი სამჭიდში 457,5 კგ დააგროვა. ეს შედეგი 2,5 კილოგრამით სჯობს ბულგარელი ა. შოპოვის რეკორდს.

პეტროსიანმა სძლია სპასკის

მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკის თამაში მუდამ საერთო ინტერესს იწვევს. ცხადია, ა. ალიოხინის მემორიალში, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს, სპასკის პარტიები ყურადღების ცენტრშია. თქმა არ უნდა, VI ტურში მსოფლიო ჩემპიონის შეხვედრა ექსჩემპიონ ტ. პეტროსიანთან დიდი საჭადრაკო სპექტაკლის „ძირითადი ნომერი“ იყო.

პეტროსიანი შესაშური მონდომებით თამაშობს მემორიალში, თითქოს ამ ორიოდე კვირის წინ მის სპორტულ ბიოგრაფიაში არაფერი მომხდარიყოს. როგორც ჩანს, ფიშერთან წაგება მან უმტკივნეულოდ გადაიტანა, ასლა ენერგიულად შეებრძოლა სპასკის და გაიმარჯვა.

პირველი მარცხი იწვნია ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) ამერიკელ რ. ბირნთან შეხვედრაში.

ყაიმით დაკმაყოფილდნენ ვ. სმისლოვი (მოსკოვი) — ვ. სავონი (ხარკოვი), ა. კარპოვი (ლენინგრადი) — ი. ბალაშოვი (მოსკოვი) და ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) — ფ. გეორგიუ (რუმინეთი).

გადაიდო დ. ბრონშტეინ (მოსკოვი) — ლ. ლენდიელის (უნგრეთი), ვ. კორჩნოი (ლენინგრადი) — ფ. ოლაფსონისა (ისლანდია) და ლ. შტეინ (კიევი) — ბ. პარმას (იუგოსლავია) პარტიები. მ. ტალის (რიგა) ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა ვ. ულმანთან (გდრ).

6 ტურის შემდეგ დაწინაურდა ტ. პეტროსიანი — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია. შემდეგ მოდიან ბ. სპასკი, ა. კარპოვი, რ. ბირნი — 3,5-3,5, ვ. სმისლოვი, მ. ტალი, ვ. ტუკმაკოვი — 3-3 (1-1).

გთავაზობთ მემორიალის რეგლამენტს. ტურების დღეებია: 3, 4, 5, 7, 8, 9, 12, 13, 15, 16, 18 დეკემბერი, გადადებული პარტიების დამთავრებისა — 6, 10, 14, 17, 19 დეკემბერი.



• • •

სურათებზე: ტ. პეტროსიანი (მარცხნივ), ვ. სავონი და უკანა პლანზე — მ. ტალი.

ვ. გალაქტიონოვის ფოტოები.

უჯარიმოდ

მოსკოვი, 30 ნოემბერი. „სპარტაკის“ საკავშირო ავტორალი უჯარიმოდ განვლეს სპორტკლუბ „შაგდის“ (ნალჩიკი) წარმომადგენლებმა — სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა ვ. კორსუკოვმა და ზ. კუმინოვმა. II ადგილზე გავიდნენ ტულელი ავტომრბოლელები ვ. პოვრუზნიაკი და ი. კომელევი, ხოლო III — ასევე ტულელები ბ. კარცევი და ვ. იონოვი.

შეჯიბრებაში ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 118 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის იყვნენ ქვეყნის უდიდესი საავტომობილო ქარხნებისა და ავტომეურნეობების წარმომადგენლები.

მოასპარეზეებმა დონეცკის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკისა და ზაპოროჟიეს ოლქების გზებზე თითქმის 3000 კილომეტრი გადალახეს. მათ თავიანთი ოსტატობა გვიჩვენეს, აგრეთვე, ჩქაროსნულ რბოლასა და ფიგურულ მართვაში.

გაზეთ „ტრუდის“ რედაქციის დაწესებული მთავარი პრიზი დონეცკის საავტომობილო ტრანსპორტის საოლქო სამმართველოს გუნდს გადაეცა.

• • •

სურათზე: რალის ტრასაზე.

ა. ფომინის ფოტო.
(„ტრუდი“).

ახალი მეჯეჯი-71

● **ტაშკენტი**, 30 ნოემბერი. ასუჯრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატის XVI ტურში მსოფლიო ჩემპიონმა ა. ანდრეიკომ (რიგა) კიდევ უფრო განიმტკიცა ერთპიროვნული ლიდერობა, როცა დიდოსტატი ნ. აბაციევი (მოსკოვი) დაამარცხა. ახლა მას 11,5 ქულა აქვს. უახლოესი მეტოქე, დიდოსტატი ა. განტვარგი (მინსკი) ლიდერს ქულით ჩამორჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდნიეკსი: „მე მჯერა მისი“

იმანტ ბოდნიეკსი

გახსოვთ ბოდნიეკსი? არა, ასეთი სპორტსმენის დავიწყება არ შეიძლება! ასეთი სპორტსმენები იშვიათად იბადებიან. მათი სახელი ყველა „ჩვეულებრივმა“ ადამიანმა იცის, ვინაიდან ლეგენდები გამოჩენილ ოსტატებზე ელვის სისწრაფით ვრცელდება ხალხში. აი, ასეთი სპორტსმენია იმანტ ბოდნიეკსი...

კიდევ უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ იმანტის პიროვნება, უნდა ითქვას, რომ იგი დაახლოებით ისეთივე პოპულარობით სარგებლობს ბალტიისპირეთში, როგორც ჩვენში ბორის პაიჭაძე, გივი კარტოზია, ომარ ფხაკაძე... ხალხი კი, როგორც მოგეხსენებათ, არასდროს ცდება საბოლოო შეფასებაში.

უნდა გამოგიტყდეთ, ბოდნიეკსს პირადად არ ვიცნობდი, თუმცა მანამდე ბევრი რამ გამეგონა მასზე ჩვენი საუბარი როგორღაც მოულოდნელად გაიმართა. რიგის საფარიკაო დარბაზში საშუალო ტანის, ქერათმიანი მამაკაცი ციბრუტივით ტრიალებდა. მოფარიკავეს არ ჰგავდა, მაგრამ მკერდს სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიშანი უმშვენებდა. მართალი გითხრათ, ერთი ხანობა შევცბი — საფარიკაო სამყაროში ასე თუ ისე ყველა ძლიერ მუშკეტერს ვიცნობ, და აი, გამოჩნდა კაცი, რომელიც არა თუ ვერ ვიცანი, თვალითაც არ მინახავს.

ყველაფერი სწრაფად გაირკვა. გურამ კოსტავამ ჩემი გაოცება იგრძნო და სპორტის დამსახურებულ ოსტატთან მიმიყვანა:

— გაიცანი, იმანტ ბოდნიეკსია...

საღამოს მყუდრო კაფეში ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს დათქმულ დროს. ინტერვიუ, რომელსაც ახლა გთავაზობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს არა მარტო ველოსპორტის მოყვარულებისთვის, არამედ ფართო მკითხველისთვისაც.

• • •

— იმანტ, საქართველოში თქვენ ბევრი გულშემატკივარი გყავთ, მაგრამ უმრავლესობა ჩვენს სასიქადულო ველომრბოლელ ომარ ფხაკაძესთან შეხვედრებით გიცნობთ. ვიდრე ამ საკითხზე ვისაუბრებდეთ, იქნებ დაწვრილებით მოგვითხროთ თქვენი სპორტული ბიოგრაფიის შესახებ.

— ჩემი თაობის ბიჭების ოცნება ველოსიპედი იყო. შეიძლება ახლანდელ ნორჩებს გაეცინოთ კიდეც, მაგრამ ეს ასეა. ჩვენ გამოვიარეთ მკაცრი ომის შემდგომი წლები, ბევრი რამ გვაკლდა მაშინ, მაგრამ ამან გამოაწრთო თაობა, ასწავლა სიძნელეებთან ბრძოლა, იმ პატარა სიხარულის დაფასება, რომელსაც გაჭირვების გარეშე ვერაფრით გაიგებ. აი, რატომ იყო ასეთი სანუკვარი ჩვენთვის... ველოსიპედი.

ამ სიტყვებზე იმანტს გულიანად ეცინება. თითქოს ბავშვობას არც ისე დიდი ხანი აშორებს, მაგრამ ერთი შეხედვით რა გულუბრყვილოდ ეჩვენება თვითონაც ადრეული ყრმობის ოცნება.

— დიახ, იმ დროს მაღაზიების ვიტრინებში ველოსიპედს ვერ ნახავდით. ახლა კი, გაგიხარიათ, იმდენია, რომ მყიდველიც არ ჰყოფნის. შედიან მაღაზიებში ახალგაზრდები, გულდაგულ სინჯავენ სხვადასხვა მარკის ველოსიპედებს, მერე ეჭვით გადააქნევენ თავს: არა, ამ მარკის ველოსიპედები არ უნდათ, სხვაგან იქნებ უკეთესი იყოს. მე კი ასეთი სურათის შემყურეს სინანულნარევი სიხარული მიპყრობს.

„ეძიებდე და ჰპოვებდეო“. და პატარა იმანტსაც გაუმართლა. მეზობლის ბავშვს ძველი ველოსიპედი უშოვეს და პატარებმა საზიარო „მანქანა“ გაიჩინეს. ის იყო და ის, მერე იმ უბნის ბავშვები სამუდამოდ დაუკავშირდნენ ველოსპორტს.

— და მაინც, იმთავიდან ველოსპორტს არ დავკავშირებივარ. მეუბნებოდნენ: იმანტ, საზიარო ველოსიპედით შორს ვერ წახვალ, მკვირცხლი და გამძლე ბიჭი ხარ, უმჯობესია მძლეოსნობას გაჰყვე. ამას მირჩევდნენ უფროსები. ისინი ხედავდნენ, რომ სპორტი თავდავიწყებით მიყვარდა. ვტყორცნიდი შუბს, დავრბოდი 400 მეტრზე, ვხტებოდი სიმაღლეზე, ერთი სიტყვით, თითქმის არ გამომიტოვებია მძლეოსნობის არც ერთი სახეობა. და როცა ყველაფერი „გამოვიარე“, აი, მაშინ მივხვდი, რომ ველოსპორტს ვერაფრით დავთმობდი. ამ სიყვარულს ხომ ძალიან დიდი ხნის წინათ ჩაეყარა საფუძველი.

ძნელია ამ სიყვარულის გაგება, ძნელია, თუ კი არ გამოგიცდია, რა არის ყრმობის ასაკში ჩასახული გრძნობა, თავაწყვეტილი რბოლა, საბურავის ჭრიალი, როცა მოულოდნელად იცვლი მიმართულებას და კიდევ ბევრი რამ, რაც თვითონ უნდა გამოცადო...

— სექციაში მიმიღეს, მწვრთნელი არც შეყოყმანებულა. ჩამაბარეს ახალთახალი ველოსიპედი (ოდნავაც არ გავიკვირვე), მერე კი ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული.

მოულოდნელად ბოდნიეკსი სიტყვაძუნწი ხდება. როგორღაც უხალისოდ ლაპარაკობს სპორტულ შედეგებზე. ისინი კი მართლაც განსაცვიფრებელია. სულ სამი თვე დასჭირდა 16 წლის ჭაბუკს, რათა პირველი სერიოზული ტურნირი მოეგო — ექვსი ქალაქის ველოსიპედისტთა ასპარეზობაში გაიმარჯვა. 1958-59 წლებში ბოდნიეკსმა დაისაკუთრა ჩემპიონის სახელი ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში. ეს იყო ბრწყინვალე სპორტული კარიერის დასაწყისი. რიგელი „ისარი“ უყოყმანოდ შეიყვანეს საბჭოთა კავშირის მოზრდილთა II ნაკრებში.

— ჭაბუკთა სპორტი ხვეწს ახალგაზრდა ველოსიპედისტის ოსტატობას, სრულყოფს მის ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებას. თითქოს დიდი მანძილი არ არის „მოზრდილთა“ სპორტამდე, სულ ერთი ნაბიჯია, მაგრამ რა მძიმე და ძნელია იგი. ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ველოსპორტში ეს მომენტი განსაკუთრებით რელიეფურად არის გამოხატული. გამოცდილების, რკინისებური ნებისყოფის, „ეშმაკობის“ გარეშე აქ ფონს ვერ გახვალ. დრო კი არ ითმენს, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადალახო უჩინარი ზღვარი, რაც ჭაბუკთა და მოზრდილთა სპორტს ყოფს. ეს კარგად ვიგრძენი ლენინგრადის 1961 წლის საკავშირო ჩემპიონატში.

მართალი გითხრათ, თავიდან ვერ ვგრძნობდი პასუხისმგებლობის სიმძიმეს. მეც და მწვრთნელიც ამოცანას სავსებით შესრულებულად ჩავთვლიდით, თუ რვა უძლიერეს სპორტსმენს შორის ვიპოვიდი ადგილს. თვითონვე გაკვირვებული დავრჩი, ისე იოლად მივაღწიე მიზანს. თავი არც მომდევნო რბოლებში მომიკლავს: გულის სიღრმეში ვფიქრობდი, აქ უნდა შევჩერდე, წინ ნაღებთან შეხვედრებია-მეთქი. ცდა არ დამიკლია, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი გამარჯვებაში. მაგრამ მოხდა საოცრება და ნახევარფინალში გავედი. აი, როდის ვიგრძენი, რომ შემეძლო მებრძოლა მესამე ადგილისთვისაც კი. აქ უკვე გადავეყარე თვით ბორის რომანოვს. რომანოვი კი, გახსოვთ ალბათ, ვინც იყო. ველარ ვიგონებ იმ შეხვედრის დეტალებს, დამიჯერეთ, თითქმის არაფერი მახსოვს. მეგობრები მეხვეოდნენ, მილოცავდნენ და, რა დასამალია, მეც სიხარულის ცრემლი მდიოდა. ტკბილი იყო ის ცრემლები. მერე ლეონოვთან ფინალში გამარჯვებაც კი არ გამხარებია ასე. გაზეთები წერდნენ ჩემზე, იბეჭდებოდა ფოტოსურათები, მე კი მეგონა, რომ ეს მე არ ვიყავი... აი, ასეთი მძიმეა მოულოდნელი „დიდების“ ტვირთი. აქედან დაიწყო ჩემი გზა დიდ სპორტში.

ძნელია გადავთვალოთ ბოდნიეკსის ყველა თვალსაჩინო წარმატება, რომლებიც მან მოიპოვა ლენინგრადის დაუვიწყარი ჩემპიონატის შემდეგ. იმავე წელს ბოდნიეკსმა მონაწილეობა მიიღო ციურიხის მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც გზა გაიკაფა სპრინტერთა მეოთხედფინალში. აქ მოუგო შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტს, იტალიელ დომიანის და მხოლოდ ნახევარფინალში დათმო გამარჯვება. IV ადგილი პლანეტის უძლიერეს სპრინტერთა ასპარეზობაში გამარჯვების ტოლფასი გახლდათ.

... როცა დაიწყო ბოდნიეკსისა და ფხაკაძის სპორტული დავა, რიგელი სპრინტერი მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ველოსიპედისტი იყო.

— ჯერ კიდევ ლენინგრადის საკავშირო ჩემპიონატში შემარქვეს „ეშმაკი ბოდნიეკსი“. მეტსახელი ხშირად სიმართლეს შეეფერება. სპეციალისტებს მუდამ მიაჩნდათ, რომ ჩემი მთავარი კოზირი ტაქტიკა იყო.

მართლაც, ჯერ კიდევ სიჭაბუკეში ბოდნიეკსი ყველას აცვიფრებდა არაჩვეულებრივი ტაქტიკური გამჭრიახობით. უცხოეთში მასზე წერდნენ, „ინტელექტუალური ველოსპორტის“ წარმომადგენელიაო. სწორედ ეს მრისხანე იარაღი დაუპირისპირა მან ქართველი სპრინტერის ომარ ფხაკაძის არაჩვეულებრივ სპორტულ ნიჭს. ეს იყო, როგორც მაშინ ფიგურალურად წერდნენ, „ცეცხლისა და ყინულის“ ორთაბრძოლა.

— გოლიათი ქართველი სპრინტერი 1962 წელს გავიცანი. იგი ყურადღებას იქცევდა საოცარი ფიზიკური მონაცემებით, წარმოუდგენელი სისწრაფით და ჩვეულებრივი მაყურებლისთვის თვალშეუვლები დეტალებით, რომლებიც აშკარად ამჟღავნებენ მომავალ ვარსკვლავს. მისი შემხედვარე შეუძლებელი იყო გულგრილი დარჩენილიყო. ის სხვებს არ ჰგავდა... ჩვენი შეხედულება გამართლდა: 1963 წელს ომარი „ჩვენს“ გუნდში — საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს, იმავე წელს კი უკვე გამოდიოდა ბელგიის მსოფლიო ჩემპიონატში. ხედავთ, რა სწრაფად გადალახა მან ყველა დაბრკოლება. ბელგიაში ომარს არ უჩვენებია თავისი ნამდვილი ძალა, თუმცა ყველაფერში იგრძნობოდა, რომ უახლოეს დროში დიდი სპორტსმენი გახდებოდა. თუ კი მწვრთნელებს ომარის მიმართ რაიმე პრეტენზია ჰქონდათ, ეს პირველ ყოვლისა ტაქტიკური მომზადების სფეროს განეკუთვნებოდა. თქვენ იცით, რომ ველოსპორტი „ეშმაკ“ მრბოლელებს სწყალობს. 1963 წელს ჩემი ტაქტიკური იარაღიც უძლური გამოდგა ფხაკაძესთან ასპარეზობაში. მე საქმე მქონდა არა მარტო ფენომენალური ფიზიკური მონაცემების, არამედ ტაქტიკურად საკმაოდ გათვითცნობიერებულ მეტოქესთან. მე გზა დავულოცე მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს.

ცეცხლმა გაალხო ყინული.

— კარგად მახსოვს 1965 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სან-სებასტიანში. ამ შეჯიბრებაში მეც ვმონაწილეობდი. ომარი ბრწყინვალე იყო. ფრანგ მორელონთან ნახევარფინალური რბოლების წინ ფხაკაძეს მასაჟს ვუკეთებდი. მას მღელვარების ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. ხდება ასე, როცა სპორტსმენი გრძნობს თავის უპირატესობას. არ დამავიწყდება ნახევარფინალი: მორელონი — ფხაკაძე, და ფინალი: ტურინი — ფხაკაძე. დიდი ბედნიერება და სიამოვნებაა უყურო ასეთ, გადაჭარბებულად ნუ ჩათვლით, ფანტასტიკურ ბრძოლას. განსაკუთრებით საგულისხმო იყო ფინალი. ტურინმა მოიგო პირველი სერია. ყველამ ხელი ჩაიქნია: თითქმის აღარავის ეეჭვებოდა, რომ იტალიელი ვარსკვლავი მეორე სერიასაც მოიგებდა. მე კი იმ წუთებშიც არ დამიკარგავს ფხაკაძის იმედი. და აი, ის, ჩვენი სასიქადულო სპრინტერი ტურინის „აჩოქებს“. გამარჯვება, დიდი გამარჯვება! საბჭოთა ველოსპორტის ისტორიაში ფხაკაძემ პირველმა შეძლო მოჯადოებული წრის გარღვევა და სპრინტში მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვება. აი, სპორტული გმირობაც ამას ჰქვია! მაშინ ჩვენ ერთად ვათვალიერებდით ესპანურ გაზეთებს: „სისწრაფის მეფე“, „ჰერკულესი“, „ტრეკის ვეფხვი“ და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ეპითეტი — ყველა ფხაკაძეს ეკუთვნოდა. ღმერთმანი, იგი ამის ღირსი იყო...

არ მინდა დავიჯერო, თითქოს ფხაკაძის უკანასკნელი წარუმატებელი გამოსვლები მსოფლიო ჩემპიონატებში ლოგიკური იყოს. ვიმეორებ, მე ახლაც არ მეგულება ასეთი საუცხოო მონაცემების სპრინტერი. იგი სჯობს მორელონსაც და სხვებსაც, დამერწმუნეთ. ოღონდაც მეტი ტაქტიკური სიფხიზლე, თუ გნებავთ, მეტი „ეშმაკობაა“ საჭირო, თორემ სხვა მხრივ ჩვენი ჩემპიონი უძლეველია. მე მჯერა მისი.

ამას ამბობს იმანტ ბოდნიეკსი, ადამიანი, ვისთვისაც ველოსპორტში თითქმის არავითარი საიდუმლოება არ არსებობს. იგი ათჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ველოსპორტის სხვადასხვა სახეობაში, არის უდიდესი საერთაშორისო ტურნირების ლაურეატი, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი...

უკვე კარგა ხანია ვბაასობთ. მყუდრო კაფე დაცარიელდა. თავაზიანი ოფიციანტი საათზე გვანიშნებს. ჩვენც ვემშვიდობებით იმანტს, ვუსურვებთ ნაყოფიერ მოღვაწეობას მწვრთნელის ასპარეზზე. მან ხომ ორი წლის წინ დატოვა დიდი ველოსპორტი.

ა. გოგელია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

რიგა — თბილისი.

ომარ ფხაკაძე

ისევ და ისევ ტექნიკა!

ამას წინათ დამთავრდა იუნიორ მოფარიკავეთა რესპუბლიკური პირველობა. ესენი სწორედ ის სპორტსმენები არიან, რომლებიც უახლოეს მომავალში შეცვლიან ჩვენი მოზრდილთა ნაკრები გუნდის ყოფილ ბინადრებს და საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ.

ახლანდელი ასპარეზობის ზოგიერთი მონაწილე გამოდიოდა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. მაგალითად, დ. ბუხრაშვილი და ნ. ლაპაძე საქართველოს ქალთა გუნდში გამოდიოდნენ და საკავშირო სპარტაკიადაში IV ადგილი დაიკავეს. მათთვის ეს შედეგი საკმაოდ დიდი წარმატებაა. ასევე კარგად იასპარეზეს რაპირისტ ვაჟთა გუნდის ახალგაზრდა წევრებმა დ. გოგნიაშვილმა და ტ. ნოზაძემ. ამ გუნდმა სპარტაკიადაში V ადგილი დაისაკუთრა.

სამწუხაროდ, საქართველოს იუნიორ ვაჟთა შეჯიბრებაში ასეთი ძალის სპორტსმენები თითქმის არ გამოდიოდნენ. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა, მონაწილეთა ტექნიკური მომზადების დონე ძალიან დაბალია. ზოგიერთი ჭაბუკი თითქმის სრულიად ვერ ფლობს თანამედროვე ფარიკაობის ელემენტარულ ტექნიკასაც კი. უმრავლესობას არ აქვს ტექნიკურად სწორი, ჩამოყალიბებული მოძრაობითი ჩვევები.

ტექნიკურად მოუმზადებელი მოფარიკავე საშეჯიბრებო პირობებით, სადაც გაზრდილია ფიზიკური დატვირთვა და ფსიქიკური დაძაბულობა, ადვილად კარგავს არამტკიცე მოძრაობითს ჩვევებს, მის მოქმედებას საჭირო ფორმა და შინაარსი აკლდება. ყოველივე ეს იწვევს შეჯიბრების წესების დარღვევას, უხეშ ჩხვლეტას (დარტყმას), მეტოქესთან შეჯახებას და ზოგ შემთხვევაში სპორტსმენის დაშავებასაც კი. ამრიგად, სპორტსმენის ტექნიკურ მომზადებაში ვხედავთ წუნს, რომლის შემდგომი გამოსწორება მეტად ძნელი და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც ხდება.

რა არის ფარიკაობის ტექნიკა?

ფარიკაობის ტექნიკის არსი მდგომარეობს ბრძოლის წარმოებისას ეფექტური ხერხების რაციონალურად დაუფლებაში, სპორტსმენის მოძრაობითი ჩვევებისა და უნარის გააზრებულ გამოყენებაში. უკეთესად და სრულყოფილად უნდა მივიჩნიოთ ის ტექნიკა, რომელიც თანაბარ პირობებში უკეთეს შედეგს იძლევა და სპორტსმენისგან ნაკლებ ენერგიას მოითხოვს.

ფარიკაობის ტექნიკაში საჭიროა განვასხვაოთ ძირითადი — სასკოლო და ინდივიდუალური. როდესაც ტექნიკურ მომზადებაზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით ჭაბუკებში, მხედველობაში გვაქვს ძირითადი — სასკოლო ტექნიკა, რომელიც ჩვენს მომავალ ოსტატებს, სამწუხაროდ, არ გააჩნიათ.

ახლა კი თვით შეჯიბრებაზე.

პროგრამის თითოეულ სახეობაში (რაპირისტი ქალები და ვაჟები, ესპადრონი, დაშნა) 30 მოფარიკავე მონაწილეობდა. ეს ძალიან ცოტაა, რადგან მოწინავე რესპუბლიკების ანალოგიურ შეჯიბრებებში მონაწილეთა რიცხვი ორჯერ და ზოგიერთ შემთხვევაში სამჯერ მეტიცაა. უდავოა, რომ საქართველოში ფარიკაობის მასობრიობის პრობლემა გადაუჭრელია.

აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ზესტაფონის, რუსთავისა და თბილისის სპორტსმენები ყველა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ. წინათ სარბიელზე გამოდიოდნენ თელავის, გორის, ჭიათურის, სამტრედიის, წულუკიძის, თერჯოლის წარმომადგენლებიც, შემდეგ კი ამ ქალაქებში თანდათანობით დაივიწყეს ეს სახეობა, ახლა კი საერთოდ აარიდეს თავი შეჯიბრებას.

საკვირველია, რომ საქართველოს გულს — ქართლს, შრომისმოყვარე კახეთს, სიცოცხლით სავსე გურიასა და სამეგრელოს ერთი მოფარიკავეც არ ჰყავდეს. დარწმუნებული ვართ, ჩამოთვლილ მხარეებს შესანიშნავი ახალგაზრდები ჰყავთ, მატერიალური საშუალებაც აქვთ და ბაზებიც ფარიკაობის განვითარებისთვის, სპორტის მესვეურთა მონდომება და ინტერესი რომ იყოს.

ქალთა პირადი პირველობის ფინალში შეხვედრები თბილისელმა სპორტის ოსტატებმა დ. ბუხრაშვილმა და ც. თანანაშვილმა თანაბარი, 5-5 გამარჯვებით დაამთავრეს. I ადგილის გასარკვევად მათ შორის ხელახალი ბრძოლა დაინიშნა. გაიმარჯვა დ. ბუხრაშვილმა. III ადგილი დაიკავა მ. გაბუნიამ (თბილისი).

რაპირით მოფარიკავე ვაჟთა შორის თბილისელი დ. გოგნიაშვილის უპირატესობა აშკარა იყო. II ადგილი დაიკავა 16 წლის ვ. პაპუაშვილმა (თბილისი), III — სოხუმელმა მ. კარტოზიამ.

ესპადრონისტთა შორის გაიმარჯვა შარშანდელმა ჩემპიონმა თ. ესართიამ, მეორე იყო ა. ლომიძე, მესამე — დ. აივაზოვი (სამივე — თბილისი).

დაშნით მოფარიკავეთა დამატებით ბრძოლაში ქუთაისელმა თ. მანაგაძემ დაამარცხა თბილისელი მ. ბერაძე და I ადგილი დაიკავა. ე. ირემაშვილი (თბილისი) III ადგილზეა.

გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა. II ადგილი ქუთაისელებს ხვდათ, III — რუსთავის მოფარიკავეთა კოლექტივს.

შეჯიბრების შედეგად შერჩეულია ნაკრები გუნდი, რომელიც დღეს ლვოვში სსრ კავშირის იუნიორთა პირველობაში იასპარეზებს.

ტ. მესხი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა ბოლო ტურის შეხვედრები.

● „კახეთი“ (თელავი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 4:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

სტუმრებმა პირველ ნახევარში ფრეს მიაღწიეს (1:1), მაგრამ შემდგომში უპირატესობა მთლიანად თელაველთა მხარეს გადავიდა, რომლებმაც შეძლეს კიდეც დამაჯერებლად გამარჯვება.

● „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 1:1. მსაჯი ა. გრიგალაშვილი (რუსთავი).

ანგარიში გახსნა გურჯაანელთა მცველმა ყალაბეგაშვილმა, ხოლო საპასუხო ბურთი მატჩის დასასრულს გაიტანა ჯამმა.

● „სქური“ (წალენჯიხა) — „ივერია“ (ხაშური) 2:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

65-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:1 იყო, თბილისელთა კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ კიკნაველიძემ ვერ შეძლო მისი გამოყენება.

● „ისანი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:1. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ ანგარიში გახსნა თბილისელმა ამბარიანმა. გავიდა ცოტა ხანი და „ისნის“ კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც ზუსტად გამოიყენა გეგეშიძემ — 1:1. ტაიმის დასასრულს მგალაშვილმა ზუსტად გაგზავნა ბურთი სტუმართა კარში და ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს.

● „დინამო“ (ზუგდიდი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 2:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

ბურთები გაიტანეს ამბრალავამ და კემულარიამ.

● „განთიადი“ (ცხინვალი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:2. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

● „ცისკარი“ (სიღნაღი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 4:3. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

● ასკ (თბილისი) — „გიგანტი“ (ლაითური) 3:3. მსაჯი ვ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

• • •

ლანჩხუთში ადგილობრივი „გურია“ აწყურის „სამცხესთან“ დამარცხდა უჩვეულო ანგარიშით — 6:7, ხოლო ჭიათურის „მაღაროელმა“ შინ მოუგო თბილისის „ლოკომოტივს“ — 5:2. ვანის „სულორს“ წაგება ჩაეთვალა ასპინძის „ვარძიასთან“ მატჩში გამოუცხადებლობისთვის. ჩემპიონატის დასასრულს სულ რამდენიმე მატჩი აკლია.

რესპუბლიკურ ზონალურ გათამაშებებში გამარჯვება მოიპოვეს სიღნაღის „ტიბაანმა“ და სოხუმის „ისკრამ“. ეს გუნდები გაისად II ჯგუფში ითამაშებენ.

გათამაშების ცხრილი
I ჯგუფი

მდგომარეობა 1 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ (ლანჩხუთი)	49	35	7	7	107—42	77
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	50	31	11	8	82—34	73
„სინათლე“ (თბილისი)	50	30	6	14	88—50	66
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	50	25	12	13	68—55	62
„კახეთი“ (თელავი)	49	21	18	10	78—53	60
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	50	18	19	13	61—48	55
„ვარკეთილი“ (გარდაბანი)	49	20	15	14	65—58	55
„დინამო“ (ზუგდიდი)	49	20	14	15	67—45	54
„ებრისი“ (ცხაკაია)	50	19	14	17	62—65	52
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	48	21	8	19	72—58	50
„ივერია“ (ხაშური)	50	16	16	18	58—60	48
„გიგანტი“ (ლაითური)	50	17	14	19	66—71	48
„სულორი“ (ვანი)	50	16	16	18	47—52	48
„სამცხე“ (აწყური)	49	16	15	18	73—78	47
„ქართლი“ (გორის რაიონი)	50	17	12	21	81—84	46
„შუქურა“ (ქობულეთი)	50	17	12	21	50—68	46
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	46	18	9	19	74—64	45
„ისანი“ (თბილისი)	49	13	19	17	47—48	45
ასკ (თბილისი)	49	15	15	19	53—57	45
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	50	17	11	22	53—68	45
„სქური“ (წალენჯიხა)	50	12	21	17	59—78	45
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	50	17	10	23	47—58	44
„ცისკარი“ (სიღნაღი)	49	10	17	22	39—71	37
„განთიადი“ (ცხინვალი)	48	12	9	27	46—74	33
„ალაზანი“ (გურჯაანი)	50	7	15	28	39—70	29
„ვარძია“ (ასპინძა)	50	7	13	30	40—114	27

ახლა კი პერუ

რიო-დე-ჟანეირო, 30 ნოემბერი. სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა თავისი ბრაზილიური ტურნეს ბოლო მატჩში ანგარიშით 3:2 დაამარცხა ქალაქ მასეიოს (ალაგოასის შტატი) გუნდი. სტუმართა მხრივ გოლები გაიტანეს ბონდარენკომ, კოპეიკინმა და ვასილიევმა.

საბჭოთა გუნდმა ბრაზილიაში ოთხი მატჩი ჩაატარა: 2 მოგება, ფრე და წაგება.

ახლა სსრ კავშირის კლუბების ნაკრები ლიმაში (პერუ) გამოვა.

ეთიოპიაში...

ადის-აბება, 30 ნოემბერი. ეთიოპიაში თავის მეორე მატჩში ტაშკენტის „ფახტაქორმა“ აქ „ეფიოპიენ ეირლაინსს“ სძლია — 2:0. ბურთები შესვენების შემდეგ გაიტანეს ისაკოვმა და აბდურაიმოვმა.

რეგბი. დ. თაქთაქიშვილის ფოტო.

იუგოსლავია — ლ უ ც კ ი — იუგოსლავია — თბილისი

ამ შემოდგომით თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელ ვაჟებს ზედიზედ სამი მოგზაურობა მოუხდათ. ისინი ჯერ ლიუბლიანას (იუგოსლავია) ეწვივნენ, რომელიც თბილისთან დაძმობილებული ქალაქია, მერე კი ლუცკში ჩავიდნენ. როგორც იცით, უკრაინის ამ ქალაქში გაიმართა ზამთრის საკავშირო შეჯიბრების პირველი წრის თამაშები. ლუცკიდან თბილისელი ხელბურთელები კვლავ იუგოსლავიას გაემგზავრნენ და იქ რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართეს. და აი, ახლა ჩვენები მშობლიურ ქალაქში მასპინძლობენ ტრადიციული VI საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს.

ბურევესტნიკელთა სამ ტურნეზე „ლელოს“ კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე ესაუბრა თბილისელ ხელბურთელთა უფროს მწვრთნელ ჯ. ბაგრატიონს.

● რა მიზანს ისახავდა თქვენი ეს სამი მოგზაურობა?

— ეს სამივე მოგზაურობა და ბოლოს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე თბილისის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაც ემსახურება ერთ მთავარ ამოცანას — 1972 წლის საკავშირო ჩემპიონატისთვის მზადებას. გაისად საკავშირო ჩემპიონატი ორ წრედ გაიმართება: პირველი წრე ჩატარდება ზაპოროჟიეში (15-24 მაისს), მეორე კი მოსკოვში (21-30 ივლისს). ჩემპიონატისთვის მზადების გზაზე კიდევ ერთ ტურნირში გვიწევს მონაწილეობა. ესაა ზამთრის საკავშირო შეჯიბრების მეორე წრე (ტაშკენტი, 11-20 თებერვალი). მაისამდე ალბათ კიდევ გავმართავთ ამხანაგურ შეხვედრებს... იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დასახულ ამოცანას შევასრულებთ: სათანადოდ მოვემზადებით მომავალი საკავშირო პირველობისთვის.

● „ლელოს“ მკითხველები უკვე იცნობენ ლუცკის ტურნირის ტექნიკურ შედეგებს. მათ იციან, რომ 14-დან მხოლოდ 5 ქულა დააგროვეთ. ამაზე რას იტყვით?

— ჩვენთვის ამჯერად მთავარი ქულები როდი იყო. ლუცკში რამდენიმე ტაქტიკურ-ტექნიკური ვარიანტი გამოვცადეთ. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენმა გუნდმა სცადა მეტოქის კარის იერიში მეკარესთან ერთად. შვიდივე ხელბურთელი უშუალოდ თამაშში იყო ჩაბმული მატჩის საკმაოდ დიდ მონაკვეთში. ამ სიახლეს აქვს გარკვეული დადებითი და უარყოფითი მხარეებიც. ერთი სიტყვით, ახალი ვარიანტის დასახვეწად კვლავ ვიმუშავებთ. ვიტყვი იმასაც, რომ ლუცკის ტურნირში მონაწილეობა არ მიუღიათ გუნდის ლიდერებს ცერცვაძეს და ფხაკაძეს. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დროს ცერცვაძე მძიმედ დაშავდა და ფაქტიურად ახლა იწყებს თამაშს. მოგეხსენებათ, უმისოდ გუნდის ძალები თუ არ ნახევრდება, მნიშვნელოვნად მცირდება მაინც.

● ხელბურთის მოყვარულებმა არაფერი იციან იუგოსლავიაში თქვენს ორ მოგზაურობაზე...

— პირველი მოგზაურობის დროს ოთხი მატჩი გავმართეთ, მეორედ კი სამი. მკითხველის ცნობისმოყვარეობა ერთგვარად რომ დავაკმაყოფილოთ, გადმოგცემთ შვიდივე მატჩის მოკლე სტენოგრაფიულ ანგარიშს.

პირველი მოგზაურობა.

7 ოქტომბერი. „სლოვანი“ (ლიუბლიანა) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 23:24 (11:15). „ბურევესტნიკი“ სულ წინ იყო. მასპინძლებმა სამჯერ შეძლეს სხვაობის თითო ბურთამდე დაყვანა. ეს იყო და ეს. ამ მატჩში თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: ბუნაძემ, ნარიმანიძემ — 5-5, გ. ბერიაშვილმა, დვალიშვილმა — 4-4, ვ. ბერიაშვილმა — 3, სხიერელმა — 2, ფხალაძემ.

10 ოქტომბერი. „რიბინჩა“ (რიბინჩე) — „ბურევესტნიკი“ 25:28 (10:13). თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ. შუა ტაიმში ინიციატივა თბილისელებმა იგდეს ხელთ და მას მატჩის ბოლომდე ფლობდნენ. ბურთები გაიტანეს: დვალიშვილმა — 6, ფხალაძემ, ნარიმანიძემ — 5-5, გ. ბერიაშვილმა — 4, ბუნაძემ, სხიერელმა — 3-3, ჭყონიამ, ვ. ბერიაშვილმა.

12 ოქტომბერი. როვინის ნაკრები — „ბურევესტნიკი“ 14:17 (8:9). ამჯერადაც მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ თბილისელებმა ჯერ მდგომარეობის გაწონასწორება შეძლეს, შემდეგ კი შეხვედრაც მოიგეს. ბურთები გაიტანეს: გ. ბერიაშვილმა — 6, დვალიშვილმა — 4, ნარიმანიძემ — 3, ფხალაძემ — 2, ბუნაძემ, ჭყონიამ.

13 ოქტომბერი. „სლოვანი“ (ლიუბლიანა) — „ბურევესტნიკი“ 22:22 (12:14). ძნელი იყო თქმა, რომელი გუნდი მოიპოვებდა საბოლოოდ წარმატებას. თამაში ერთობ მწვავედ წარიმართა და ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან მეორე. თბილისელები მატჩის ბოლოს 1 ბურთით იგებდნენ შეხვედრას, მაგრამ სწორედ ბოლო წამებზე შეძლეს მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება. ბურთები გაიტანეს: გ. ბერიაშვილმა — 8, დვალიშვილმა — 5, ბუნაძემ — 4, ფხალაძემ, ჭყონიამ — 2-2, ნარიმანიძემ.

მეორე მოგზაურობა.

7 ნოემბერი. ზრკ „დინამო“ (პანჩევო) — „ბურევესტნიკი“ 28-22 (13:13). ამჯერად პირიქით მოხდა: თავიდანვე სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ მასპინძლები მალე მოვიდნენ გონს და გაიმარჯვეს. ბურთები გაიტანეს: გ. ბერიაშვილმა — 6, ნარიმანიძემ — 5, ბუნაძემ — 4, ვ. ბერიაშვილმა, სხიერელმა, დვალიშვილმა — 2-2, აბესაძემ.

9 ნოემბერი. „იედინსტვო“ (კაჩარევო) — „ბურევესტნიკი“ 20:24 (8:9). მატჩის ბედი გადაწყდა შესვენების შემდეგ, როცა ჩვენ მთლიანად ხელთ ვიგდეთ ინიციატივა. ბურთები გაიტანეს: გ. ბერიაშვილმა — 10, ნარიმანიძემ — 5, სხიერელმა — 4, ჭყონიამ, ბუნაძემ, აბესაძემ, დვალიშვილმა, ფხალაძემ.

10 ნოემბერი. „პარტიზანი“ (კოვინა) — „ბურევესტნიკი“ 25:28 (12:14). მთელი მატჩის მანძილზე უპირატესობა „ბურევესტნიკის“ მხარეს იყო. თავიდანვე დავწინაურდით — 10:3. ბურთები გაიტანეს: ბუნაძემ — 7, აბესაძემ, ფხალაძემ — 5-5, გ. ბერიაშვილმა — 3, ცერცვაძემ, დვალიშვილმა, ნარიმანიძემ — 2-2, ხუციშვილმა, ჭყონიამ.

როგორც ხედავთ, იუგოსლავიაში გამართული 7 მატჩიდან ხუთი მოვიგეთ, ერთი წავაგეთ და ერთიც ფრედ დავამთავრეთ. ეს ურიგო შედეგი როდია.

● კიდევ რას გვეტყვით იუგოსლავიური ტურნეს შესახებ?

— მართალია, ჩვენ არც თუ ძალიან მაღალი კლასის გუნდებთან მოგვიწია თამაში, მაგრამ ფაქტიურად ახალგაზრდული კოლექტივით გამოვდიოდით (ჩვენთან არ იყვნენ ფხაკაძე და ექსიულიძე, ცერცვაძემ კი მხოლოდ ერთხელ შეძლო მოედანზე გამოსვლა) და ამიტომ შედეგებით კმაყოფილი ვარ. იუგოსლავიაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხელბურთის ღია, მოასფალტებულმა მოედნებმა. ასეთი მოედნები იუგოსლავიაში მრავლად არის, განსაკუთრებით, სკოლის ეზოებში. ჩვენც ამგვარ მოედნებზე ვთამაშობდით და, უნდა ითქვას, რომ ძალიან მალე შევეთვისეთ ამ უჩვეულო პირობებს. კარგი იქნებოდა, რომ ასეთი მოედნები მოეწყოს თბილისში და საქართველოს სხვა რაიონებშიც (სხვა არა იყოს რა, ეს იაფიც ჯდება).

● ხომ არ დაგვიხასიათებდით ცალკეულ მოთამაშეებს და, საერთოდ, რა დონეზეა ახლა ჩვენი გუნდი?

— „ბურევესტნიკის“ კარს ახლა იცავს ორი მეკარე — ხუციშვილი და კომახიძე. პირველს ყველა იცნობს, მეორეს კი ჯერ თითქმის არავინ. უნდა ითქვას, რომ კომახიძე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. რაც შეეხება ჩვენს ვეტერანებს ცერცვაძეს, ექსიულიძესა და ფხაკაძეს, სხვადასხვა მიზეზის გამო ამ ბოლო ხანს თითქმის არ უთამაშიათ. მათ უკვე დაიწყეს ინტენსიური ვარჯიში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე იტყვიან თავიანთ სათქმელს.

ძმები გიორგი და ვახტანგ ბერიაშვილები. პირველი ახლა უფრო სტაბილურად თამაშობს, მაგრამ ვერ მოიშორა ძველი სენი: პენალტების რეალიზაციაში კვლავინდებურად მოიკოჭლებს. სხვათა შორის, ამისგან დაზღვეული არც სხვა მოთამაშეები არიან. რაც შეეხება ვახტანგს, იგი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს გუნდში.

ბუნაძე და ნარიმანიძე. პირველი მთელი თავისი არსებით, შეძლებით, ყველაფერს აკეთებს გუნდის წარმატებისთვის. ერთი სიტყვით, თავდაუზოგავი მოთამაშეა. რაც შეეხება მეორეს, მან ამ ბოლო ხანს შესამჩნევად აიმაღლა თამაშის კლასი და მომავალში მისგან კარგი ოსტატი უნდა დადგეს.

ჩვენს ღირსებას იცავენ აგრეთვე სხიერელი, დვალიშვილი, ფხალაძე, აბესაძე, ამპილოგოვი და ჭყონია. თითოეულ მათგანს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეებიც. მათ იციან ეს და მუშაობენ კიდეც ოსტატობის ამაღლებისთვის.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

ტონებად ქცეული წამები

რამდენი ტონა სპილენძი იქნება ხვალ გამოშვებული, თუ სადნობი საამქროს მექანიკოსი-ტექნიკოსი ა. ქიხარევი 100 მეტრს 1 წუთსა და 8,3 წამში გაცურავს?

ამ ამოცანას აქვს თავისი ამოხსნა. პასუხი იციან ნორილსკელმა კომკავშირელებმა.

ქიხარევის შედეგი რეკორდი არ არის, მხოლოდ მეორე თანრიგის ნორმატივია. მაგრამ ნორილსკელმა მეტალურგებმა იციან, რომ სტადიონებსა და აუზში ჩატარებული საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ, სპორტულ შეჯიბრებებში მოპოვებული წარმატებების შემდეგ, იზრდება „რეკორდები“ სადნობ ღუმელებთანაც...

სპილენძის ქარხანა წამყვანი საწარმოა ნორილსკის სამთო-მეტალურგიულ კომბინატში. გასულ ხუთწლედში ქარხანამ სპილენძის გამოშვება სამჯერ გაზარდა, ახალში კი კიდევ ერთნახევარჯერ გაზრდის (მუშა-მოსამსახურე დღესაც იმდენი ჰყავთ, რამდენიც 1965 წელს ჰყავდათ). ლითონის მატებას უზრუნველყოფს შრომისნაყოფიერების ამაღლება (ამას ემატება ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა, ახალი ტექნიკის დანერგვა, ღონისძიებები სამრეწველო ესთეტიკის მხრივ), ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობა. ქარხანაში ყოველი მესამე ფიზკულტურელია, ყოველი მეცხრე — თანრიგოსანი. ამ საწარმოს სპორტსმენები უკვე მეორე წელია ნორილსკის სამთო-მეტალურგიული კომბინატის სპარტაკიადის ოქროს პრიზიორები არიან.

ქარხანაში სპორტის 24 სახეობაა დანერგილი. ზოგიერთ სახეობაში მეტალურგებმა მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. მაგალითად, კრასნოიარსკის მხარის ნაკრების თითქმის ნახევარს ამ საწარმოს ველოსიპედისტთა გუნდი შეადგენს. რაც შეეხება ა. ქიხარევს, იგი სპორტის ოსტატია ველოსპორტში, მხარის ჩემპიონი, ამასთან, გატაცებულია სათხილამურო რბოლით და ხელბურთითაც.

ქიხარევი მრავალმხრივი სპორტსმენია. აი, რატომ აირჩიეს იგი ფიზკულტურის ორგანიზატორად, კომკავშირელებმა კი მას ქარხნის მთელი სპორტული ცხოვრების ხელმძღვანელობა მიანდეს.

რ. ტრუსოვი.
(საქდესის კორ.).

ნორილსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტივში მსოფლიო

სიკვდილს ეთამაშებიან

◆

ტრაგიკული შემთხვევა მოსახვევში

პროფესიონალი ავტომრბოლელები ყოველი შეჯიბრების დროს სიკვდილს ეთამაშებიან. ცალკეული ფირმების მიერ დაწესებული დიდი ფულადი ჯილდოების საფასურად ისინი არად აგდებენ საკუთარ სიცოცხლეს. ზოგჯერ მანქანაც არ არის მთლად გამართული, მაგრამ სწორედ ამ ფირმების წარმომადგენელთა დაჟინებული მოთხოვნით ავტომრბოლელი სტარტზე გადის

ზედა ორ სურათზე სწორედ პროფესიონალ ავტომობილისტთა შეჯიბრებისა და ვარჯიშის ტრაგიკული მომენტებია აღბეჭდილი.

ნიურნბერგი „მექსიკის დიდი პრიზის“ მფლობელი, მექსიკელი პედრო როდრიგესი საკაცით მიაქვთ. ევროპის თასის გათამაშების ნორისრინგის ეტაპზე მისი მანქანა დაიმტვრა და როდრიგესი ძლივს გამოათრიეს ალმოდებული „ფერარიდან“. ავტომობილისტმა ჰოსპიტლამდე ვერ მიიტანა სული — გზაში გარდაიცვალა.

ზოლდერი (ბელგია) იტალიელი ავტომრბოლელი ჯანკარლო მორეტი საკაცით მიჰყავთ ჰოსპიტალში გასამგზავრებლად, მას შემდეგ, რაც მისი მანქანა ვარჯიშის დროს მოცურდა და სამ პოლიციელს დაეჯახა. ერთი პოლიციელი დაიღუპა, დანარჩენმა ორმა კი ჰოსპიტალში ამოყო თავი. ჯ. მორეტი „კენ-ემის“ რბოლისთვის ემზადებოდა.

ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.

ტრაგიკული შემთხვევა ხშირია პროფესიონალ ველოსიპედისტთა ასპარეზობების დროსაც. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ახალგაზრდა ბელგიელ სპორტსმენს ჟან-პიერ მონსერს — 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონს საგზატკეცილო რბოლაში. სულ რამდენიმე წუთის წინ ველოსიპედისტთა მოწინავე ჯგუფს, სადაც სწორედ მონსერი ლიდერობდა, მოსახვევში დიდი სისწრაფით მქროლი „მერსედესი“ დაეჯახა, რომელსაც ახალგაზრდა ქალი მართავდა. ჯგუფის სხვა წევრები სასწაულით გადაურჩნენ დაღუპვას, მონსერი კი უმალვე გარდაიცვალა. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ მონსერის ველოსიპედი ნაწილებად დაიშალა.

„გაზეტ ვან ანტვერპენის“ ფოტო.

„პაპა შტამი“

პოლონეთის კრივის ისტორია ბოლო 45 წლის მანძილზე განუყრელადაა დაკავშირებული ქვეყნის ეროვნული ნაკრების უცვლელ მწვრთნელთან — ფელიქს შტამთან, რომელსაც 14 დეკემბერს 70 წელი უსრულდება.

1920 წელს ქალაქ გრუძენძში დადგა პოლკი, სადაც ცხენოსნობის ინსტრუქტორად 19 წლის ფელიქსი მუშაობდა. რომელიღაც ოფიცერს ორი წყვილი კრივის ხელთათმანი აღმოაჩნდა. ფელიქსმაც გასართობად გაიკეთა ეს ხელთათმანები. მერე გართობა სერიოზულ გატაცებად იქცა. ერთი წლის შემდეგ შტამს დებიუტი ჰქონდა რინგზე უმჩატეს წონაში. მაგრამ მისი კარიერა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა — მოკრივემ მხოლოდ 13 ბრძოლის ჩატარება მოასწრო, 11 მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და ერთიც წააგო.

შემდეგ შტამმა ტანვარჯიშისა და სპორტის ცენტრალურ სკოლასთან არსებული კურსები დაამთავრა (ეს იყო ერთადერთი სასწავლებელი ბურჟუაზიულ პოლონეთში, სადაც ფიზიკური აღზრდის სპეციალისტებს ამზადებდნენ), მაგრამ სამუშაო დიდხანს არ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, 1927 წელს იგი პოზნანის საზოგადოება „ვარტაში“ მიიღეს. აქ ახალგაზრდა შტამმა საუკეთესო აღმზრდელისა და ნიჭიერი ორგანიზატორის თვისებები გამოავლინა, რისთვისაც ერთი წლის შემდეგ პოლონეთის მოკრივეთა ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნა. იგი პოლონელ მოკრივეებს წვრთნიდა ბოლო შვიდი ოლიმპიადისთვის და 24 ოლიმპიური მედლის მოპოვებაში დაეხმარა მათ. ამ მედლებიდან ექვსი ოქროსი იყო, შვიდი ვერცხლისა, თერთმეტი კი ბრინჯაოსი. შტამის აღსაზრდელებმა 27 ოქროს ჯილდო მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატებში.

ვეტერანს მხოლოდ იმაზე სწყდება გული, რომ მისი სამი ვაჟი და ოთხი შვილიშვილი მამისა და პაპის კვალს არ გაჰყვა. თუმცა, მოწაფეები ბლომად ჰყავს.

პოლონეთში მისი აღსაზრდელები და კრივის მოყვარულები სახელგანთქმულ მწვრთნელს „პაპა შტამს“ ეძახიან. ეს ყველაზე უკეთ გამოხატავს იმ ჭეშმარიტად საყოველთაო, სახალხო სიყვარულს, რომლითაც შტამია გარემოსილი.

ცნობილი მწვრთნელის კალამს ეკუთვნის ბევრი სტატია, მეთოდური სახელმძღვანელო.

შტამს ხშირად უხდება შეხვედრა საბჭოთა ათლეტებთან. რომელი ახსოვს მათგან ყველაზე უკეთ?

— მე დიდად ვაფასებ საბჭოთა კავშირის მოკრივეთა კლასს, — უთხრა შტამმა ერთხელ ჟურნალისტებს — ამიტომ ჩემი მოწონებული სპორტსმენების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. დავკჯერდები თუნდაც ისეთი სპორტსმენების დასახელებას, როგორიც არიან ბორის ლაგუტინი, ალგირდას შოციკასი, ვლადიმერ ენგიბარიანი, გენადი შატკოვი, ვალერი პოპენჩენკო, დან პოზნიაკი...

—ვინ არის თქვენი ყველაზე საყვარელი მოწაფე? — ჰკითხეს სახელგანთქმულ მწვრთნელს.

— პირველ ყოვლისა ეჟი კულეი, ორი ოლიმპიადის ჩემპიონი. იგი თავს არ ზოგავდა საწვრთნელ მეცადინეობებზე, ბევრს ფიქრობდა როგორც ბრძოლის, ისე ვარჯიშის დროს. ამას გარდა, ეჟი მაღალი და მრავალმხრივი ინტერესების კაცია.

— რა არის თქვენი მთავარი მოთხოვნა მოწაფეებისადმი?

— შრომისმოყვარეობა და დისციპლინა. უამისოდ სპორტში წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ამ სტრიქონების ავტორი შტამს უკვე მრავალი წელია იცნობს და ბევრი ინტერვიუც ჩამოურთმევია მისთვის. ეს გახლავთ გონებამახვილი, საინტერესო მოსაუბრე, რომელსაც მუდამ მოეძევება ზუსტი, ლაკონიური პასუხი. მხოლოდ ერთხელ ვნახე განაწყენებული. ეს იყო 1969 წელს ბუქარესტში, სადაც ევროპის ჩემპიონატი ტარდებოდა. პოლონელმა მოკრივეებმა მაშინ პირველად დაკარგეს ფინალის საგზურები. ფელიქს შტამი ავადმყოფობის გამო დროებით ჩამოშორებული იყო ნაკრებს, მაგრამ ბუქარესტის შემდეგ, საზოგადოებრიობის დაჟინებული მოთხოვნით, იგი კვლავ ჩაუდგა სათავეში გუნდს და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ახალგაზრდული გატაცებით მოჰკიდა ხელი საქმეს. შედეგები ცნობილი გახლავთ: 1971 წელს მადრიდში, ევროპის ჩემპიონატში, პოლონელმა მოკრივეებმა ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

ამჟამად 70 წლის „პაპა შტამი“ პოლონეთის მოკრივეთა კავშირის კონსულტანტია, ქვეყნის ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელად კი მისი რეკომენდაციით დაინიშნა ჰენრიკ ნოვარა — პოლონეთის მრავალგზის ჩემპიონი. მაგრამ მიუნჰენის ოლიმპიური ტურნირისთვის პოლონელ მოკრივეებს ისინი ერთად ამზადებენ.

ზ. ხაჩაღვანიანი,

საქდესის სპორტული მიმომხილველი.

მოსკოვი.

დაწერილია სპეციალურად „ლელოსთვის“.

• • •

სურათებზე: ფ. შტამი თავის მოწაფესთან, ტოკიოს ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონ ი. გრუძენთან და მის მეუღლესთან ერთად; შტამი საუბრობს სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ ვ. ოგურენკოვთან, რომელიც საბჭოთა მოკრივეებს ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადებისთვის ამზადებდა.

ავტორის ფოტოები.

„ნეპტუნის“ არმია

3500-ზე მეტი საქალაქო, ქალაქგარე, საკოლმეურნეობათშორისო, სამხედრო-სპორტული ბანაკის, პიონერთა სახლისა და სასახლის, „ნორჩ მეზღვაურთა“ კლუბის პიონერები და მოსწავლეები ყოველწლიურად მონაწილეობენ მოცურავეთა მასობრივ შეჯიბრებაში საკავშირო კლუბ „ნეპტუნის“ პრიზზე. ამ ზაფხულს ცურვა ისწავლა ნახევარ მილიონზე მეტმა ბავშვმა.

30 ნოემბერს ეს ციფრები დაასახელა „ნეპტუნის“ ცენტრალური შტაბის თავმჯდომარემ, ადმირალმა ნ. ამელკომ.

„ნეპტუნის“ ცენტრალური შტაბის სხდომის მუშაობაში, რომელიც 30 ნოემბერს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო, მონაწილეობდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ცურვის ფედერაციის თავმჯდომარე ზ. ფირსოვი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი გ. სტეპანოვა, ევროპის ექს-ჩემპიონი და რეკორდსმენი ს. ბელიც-გეიმანი, ბევრი სხვა ცნობილი სპორტსმენი და მწვრთნელი.

გადაწყდა ოლიმპიურ წელს ახალი ფართო კამპანია გაიშალოს ბავშვებში ცურვის უფრო ფართოდ გავრცელებისთვის. (საქდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ სასახლეში

ხელბურთი. სპორტის სასახლე. 3-8 დეკემბერი. VI საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. მონაწილეობენ ბულგარეთის, გდრ-ის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ჰოლანდიის, სსრ კავშირის (ახალგაზრდული), უკრაინისა და საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდები. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 1 უე 04989